რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჯდაში ყოფნისას ამბობდა: «ღმერთო ჩემო, მომიტევე ჩემი ყველა ცოდვა, პატარა თუ დიდი, პირველი და უკანასკნელი, აშკარა და დაფარული». /ალლაჰუმმა ღფირ ლიი ზანბიი ქულლაჰუ დიყყაჰუ, ვა ჯილლაჰუ ვა ავვალაჰუ ვა აახირაჰუ ვა 'ალაანიითაჰუ ვა სირრაჰუ/

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჯდაში ყოფნისას ამბობდა: «ღმერთო ჩემო, მომიტევე ჩემი ყველა ცოდვა, პატარა თუ დიდი, პირველი და უკანასკნელი, აშკარა და დაფარული». /ალლაჰუმმა ღფირ ლიი ზანბიი ქულლაჰუ დიყყაჰუ, ვა ჯილლაჰუ ვა ავვალაჰუ ვა აახირაჰუ ვა 'ალაანიითაჰუ ვა სირრაჰუ/

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჯდაში ევედრებოდა ღმერთს და ამბობდა: (ღმერთო ჩემო მომიტევე ჩემი ყველა ცოდვა) დაფარე ისინი და განმარიდე მათი შედეგები, მომმადლე მიტევება და მოწყალება, „პატარა“, ანუ უმნიშვნელო და ცოტაოდენი, „და დიდი“, მძიმე და მრავალრიცხოვანი, „პირველი“, ადრე ჩადენილი, „და უკანასკნელი“, და ის, რაც მათ შორისაა, „გაცხადებული და ფარული“, რომელთა შესახებ არავინ იცის, გარდა შენი, ყოვლადწმინდაო.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5470